წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ. კვირა, 1917 წ. თიბათვის 4 (17)

საქართველო

ხელის მოწერა და [illegible] ბეჭდვი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№119 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 119

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
კონფერენცია
მოხდება
დღეს, თიბათვის 4-ს, დილის 12 საათზე
ახალ კლუბის დარბაზში

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
კონფერენციის
მომწყობი სატეხნიკო ბიურო

ამით აცხადებს, რომ კონფერენციაზე დამსწრე თბილისში ჩამოსული დელეგატები პირველ ყოვლისა უნდა გამოცხადდნენ მთავარ კომიტეტის მდივანთან, შალვა ტატიშვილთან (ფრეილის ქუჩა № 12) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოთი 7 ს.—10 საათამდე. მას უნდა წარუდგინონ შესაფერი მანდატი და მიიღონ სადელეგატო ბილეთი.

ბიურო სთხოვს აგრეთვე დელეგატებს ყოველ საჭირო საქმისათვის მიმართონ კომიტეტს იმავე მისამართით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
თ. საქართველოს სპოლიტიკო პარტიები და ეროვნული ძალთა მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

12—708—12

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მეათე და მეთერთმეტე უბნების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ დღეს, თიბათვის 4-ს, საღამოს 8 საათზე

ახალ საკრებულოს საზაფხულო შენობაში
(მიხეილის ქუჩა № 129)

დანიშნულია ხსენებულ უბნების წევრთა და თანამოაზრეთა მორიგი კრება.

კრების საგანია: საპროგრამო და სატაქტიკო საკითხები.

1—722—1

თბილისის კონსერვატორიის დარბაზში
(გრიბოედოვის ქუჩა № 8)

დღეს, ოთხ თიბათვეს შესდგება კამათი

კ. ფოცხვერაშვილის მოხსენების შესახებ:

„მართლმადიდებელი სარწმუნოება და დემოკრატიული რესპუბლიკა."

ვინც ამ მოხსენებას დაესწრო თიბათვის 25-ს,
მათ დარბაზში ძველი ბილეთითაც შეუძლიათ შესვლა

(მოხსენებით დაინტერესებულ პირთ წინადადება ეძლევათ მობრძანდნენ და საჯაროთ გამოსთქვან თავიანთი აზრი).

დანარჩენი ბილეთები იყიდება დარბაზის შესავალში.

1—720—1 დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საყოველთაო სიძვირე დღითი-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც.

სულ მოკლე ხანში აწყობისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-სამად გადიდდა, მოიმატა სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით გავადიდოთ გაზეთის ფასი.

მაისის ოციდან „საქართველოს" თითო ნომერი

ღირს 10 კაპ.

ამასთანავე პირველ ივნისიდან მომატებული იქნება ხელის-მოწერის ფასიც. წლის ბოლომდე 1 ივნისიდან ეღირება 10 მან., 3 თვით 5 მან., ხოლო ერთის თვით 2 მან.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გამოწერილი აქვთ უკვე გაზეთი მთელის წლით, დამატებითი ფული არ გადახდებათ.

ქ. თბილისის ვაჭრობა-მრეწველობის დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ კომიტეტის კანცელარია ამა ივნისის პირველიდან

გადავიდა

პუშკინის ქუჩაზე № 6, (საბირჟო კომიტეტის სადგომი) ტელ. 8—04.

კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, საღამოს $7^1/_2$—$8^1/_2$ საათამდე კომისიის წევრთა მორიგეობა. ეს მორიგეობა დაწესებულია მოსამსახურეებთან დამოკიდებულებების მოსაწესრიგებლად, განცხადებების მისაღებად და მთხოვნელებთან პირად მოლაპარაკებისათვის.

3—719—3

თბ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

აცხადებს, რომ კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზე, ახალ კლუბის დარბაზში, დანიშნულია

წლიური საგუბერნიო კრება
ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა.

კრების განსახილველია:

1) 1916 [illegible] 1917 წლისათვის, რაოდენ შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა (იგულისხმება, სხვათა შორის, დახმარების დანიშვნა სხვა და სხვა საზოგადო საგანმანათლებლო და საკულტურო დაწესებულებათათვის, როგორც, მაგალითად, ქართულ გიმნაზიისა და სხვა სასწავლებელთათვის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების, სამსტორიო და საეთ. საზ. ქართულ სადრამო საზ. და სხვათათვის).

2—704—4

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ

„ხალხის თავისუფლება"-ზე
(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

იგ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთი ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" I. Имедашвили.

(10—638—12)

თეჯზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საგზავრო სახლ. „ძ. ძეგველოვ-ზემო, საყოველ [illegible] ახალი ქვეყნიდან მოწოდებული, მცირე მარილიანი, შავი „მომრეწველობიდან [illegible] შინნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სადიანის [illegible] მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი [illegible] ზუთხი, თართი, [illegible] ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული [illegible] კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა დ აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა".
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი".
დ. უზნაძის—„პოეტის სული".

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—11)

სახალხო სახლი

ოთხშაბათს, თიბათვის 7-ს 1917 წ. ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ, წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა უ. შექსპირისა

ტრაღედია 5 მოქმედებად

ოტელო

თარგმანი ი. მაჩაბელისა.

მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობნი. ოტელოს როლს შეას. ა. იმედაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

3—721—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მეორე რაიონის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანამგრძნობთ წევრებათ ჩაწერა ხსენებულს პარტიაში შეუძლიანთ შემდეგს ბინებზედ: მეორე უბნის ბიუროში, მამადავითის სამრევლო სკოლა თაწმინდის ქუჩა № 18, 10—12 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე, გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში—ვანო ავალიშვილთან, დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე.

6—669—2

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული"-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскiй пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ ბაგრატ იოსების-ძე თუმანიშვილი.

მოკლე ხანში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

კრებულში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

მისამართი: თბილისი, რედაქცია „საქართველო"—ე. გიგოშკორს.

რედაქტორები: სანდრო შანშიაშვილი და გ. ლეონიძე.

გამომცემელი ე. ი. გიგოშკორი.

4—688—7

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს სად. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი ქალისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

შ. გ. მუხაძე

იღებს სადიღ-სხელ ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა სეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს [illegible] ქ. № 8.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკაშვილის ქუჩა, № 19.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

მ. ი. მარჩაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მადლინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

სალამი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობას!

ეროვნული დემოკრატია

უკანასკნელი 20—25 წელიწადი საქართველოს ცხოვრებაში ერთის იდეოლოგიის ბატონობით აღიბეჭდა. სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი ყველა საგანთა საზომად გახდა. სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით ირჩეოდა ყოველი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში. და ამ თვალსაზრისთან შეფარდებით სწყდებოდა ყოველი საკითხი. ეს თვალსაზრისი იყო ერთად-ერთი ოფიციალი კრიტერიუმი ჩვენთა საჭიროებათა ანალიზისა, იგი იყო ერთად-ერთი იდეა—ძალა ჩვენის მოქმედების გასაღვიძებლად, ერთად ერთი სტიმული საქართველოს კოლექტიური ენერგიის აღსაძვრელად.

ჩვენი ეროვნული პოლიტიკა, ჩვენი ეკონომიური საქმიანობა და, რომ მოკლედ მოვჭრათ, ქართველი ერის ცხოვრების ყოველგვარი გამოცხადება ამ ერთ იდეოლოგიის თვითმპყრობელობას ემორჩილებოდა და მისით განიგებოდა.

სხვა საწყაო არ იყო საქართველოს ცხოვრების გასაზომად, სხვა თვალსაზრისი და კრიტერიუმი არა ყოფილა, სხვაგვარის იდეა-ძალა და იდეა-სტიმული საქართველოს არ მოევლინა აღმძვრელ, მოწყობ და დამრაზმველ ფაქტორად. ამრიგად საუკუნის მთელმა მეოთხედმა ამ ერთის იდეოლოგიის თვითმპყრობელურ მეფობაში განვლო. ავი და კარგი ამ მოვლენისა, მისი ღირსება და ნაკლულევანება ცხადია ყოველი თვითგამორკვეული ქართვე- [illegible] თავისთავად უვნებელი იდეაც ერის საზიანო ძალად გარდაიქცევა, თუ მისი ბუნება და ხასიათი დროსა და პირობებთან შეუფერებელია. რაც რომ ზიანი და უბედურება შეუძლიან მოიტანოს იდეოლოგიის უკანონო ბატონობამ, ყოველივე ეს გარდახდა და განიცადა საქართველომ.

და ჩვენი ცხოვრების ამ მართველ იდეისა და სამართველი სინამდვილის შეუფერებლობამ და ანტაგონიზმმა წარმოშვა და სიცოცხლისათვის მოუწოდა იმ არა-სოციალისტურ იდეალოგიას, რომელიც საძირკვლად დაედო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას. საქართველოს სინამდვილესა და ამ იდეოლოგიას შორის სრული შეხამულობა და ჰარმონიაა. ამაშია საწინდარი მისი ზრდისა და ძლიერების. ამით არის იგი საშიში სხვებისთვის.

ამ მიმართულების სახით საქართველოში მტკიცდება ახალი იდეა და ირაზმება ახალი ძალა.

მას შეაქვს ხალხში იდეა სამშობლოსი და სული საქმისა და მოქმედების. დაცვა და ამაღლება სოფლის მეურნეობისა, დაცვა და ამაღლება საქართველოს ვაჭრობა-აღებ-მიცემობისა, გამოწვევა და გაზრდა საქართველოს მრეწველობისა—აი საგანი ამ მიმართულების.

ყოველი სოფლის მეურნე, აღჭურვილი სამყოფი საკუთარის მიწით, აღჭურვილი ცოდნით და სამეურნეო იარაღით; ვაჭარი—ცოცხალი და მომჭირნე; მრეწველი—მცოდნე და მოქმედი, აი ის აგენტები, რომელთაც უნდა შექმნან ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება. ყველა ამ ძალების გაწვრთნა და დარაზმვა, მათ განვითარებისათვის ზრუნვა და ხელის შეწყობა, მათი გათვითცნობიერება სოციალ-პოლიტიკურად,— აი ჩვენი მოქმედების საგანი.

კერძო საკუთრების წინააღმდეგ არა ბრძოლა, არამედ მისი შეძენა და გადიდება საკუთარის თაოსნობით, ცოდნათა და შრომა-მუყაითობით. ამ სულისკვეთებით აღძრულია მთელი გლეხობა, რომელიც ჩვენი ერის თითქმის 90 პროცენტს შეადგენს; ამ სულისკვეთებითვე აღძრულია ჩვენი ნორჩი აღებ-მიცემობა და მრეწველობაც. ჩვენ რაციონალური სამდინარო უნდა შევუქმნათ ამგვარის ლტოლვილებით აღძრულ კოლექტიურ ენერგიას.

დიდია ჩვენი ადგილი ჩვენს სამშობლოში. დიდია ჯარი ჩვენი იდეის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება და მისი პოლიტიკური აღდგენა ორთავე ერთად თავს იყრის ამ ჯარში.

დღეს პირველი ყრილობაა ამ ჯარის წარმომადგენლებისა. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილს იჭერს სალი ნაციონალიზმი და რეალური ეკონომიზმი. ამ იდეოლოგიაშია საქართველოს საზოგადოებრივი ენერგიისა ახალი სტიმული.

ს. კედია.

* * *

ყრილობისათვის

დღეს თბილისში საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა იხსნება.

ეს პირველი დამფუძნებელი ყრილობა არის ჩვენი პარტიისა.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიათა შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ყველაზედ უფრო ახალგაზდაა.

რევოლუციამდის იყო მხოლოდ ის საზოგადოებრივი მიმდინარეობა, რომელსაც ახასიათებდა ნაციონალური და დემოკრატიული, მაგრამ არა-სოციალისტური აზროვნება, ის მიმდინარეობა, რომელსაც ემსახურებოდა ერთი მეორეს მემკვიდრეობით რამოდენიმე ორგანო ქართული ბეჭდვითი სიტყვისა და რომელსაც დღეს „საქართველო“ ემსახურება.

რევოლუციის ტალღებმა, ასე რომ ვსთქვათ, დააჩქარა დამწიფება იმ ცხოველ რეალ ინტერესთა, ურომლისოდ შეუძლებელია ახალი პარტიის დაარ- [illegible] პოლიტიკური პარტია [illegible] ინდივიდუალ ავტორიტეტით არ იქმნება.

პარტია კრებულია ერთნაირ ინტერესებით და ერთნაირ პოლიტიკურ იდეალებით შეკავშირებულ მოქალაქეთა, რომელიც მიისწრაფვის ერთ და იმავე პოლიტიკურ რეფორმებისკენ და რომელსაც ორგანიზაციაც აქვს ამ იდეალთა მისაღწევად ან და დასაცველად.

ყოველი პარტია იმისკენ ესწრაფვის, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პატრონობა თუ არა, გავლენა მაინც მოიპოვოს; თუ ეს პოლიტიკური ძალა პარტიას ხელთ არ აქვს, მაშინ ის ოპოზიციაში სდგება და მთავრობის მოქმედების კრიტიკით კმაყოფილდება იმ წუთის მოლოდინში, როცა მოქალაქეთა ნდობა და მასთან ერთად ხელისუფლებაც მას გადაეცემა.

თავისუფალ სახელმწიფოთა მოსილ ერთა პარტიები სხვა და სხვა კლასთა ან წოდებათა რეალ ინტერესებზედ არიან ნაშენები, თუმცა კლასობრივი სახე ამა თუ იმ პარტიისა მაინც და მაინც მკვეთრი არსად არ არის, სწორედ ისე, როგორც მოკლებულია ასეთ სიმკვეთრეს კლასთა გაყოფა ერთი მეორისაგან თვით ცხოვრებაში.

სხვანაირია უსახელმწიფო ეროვნებათა პარტიული ვითარება. იქ სადაც ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ არის, მის მაგიერობას ეროვნული და დემოკრატიული თვალსაზრისით აღჭურვილი პარტია სწევს, ეროვნული პარტია ვერ გაჰყვება მარტო ერთი კლასის ინტერესით ნაკარნახევ პოლიტიკას. უსახელმწიფო ერის პოლიტიკური ვითარება იმას ითხოვს, რომ ეროვნულ დემოკრატიის შემადგენელ კლასთა ინტერესებს შორის მოინახოს ერთი სწორი მომქმედი ხაზი. ეროვნული პოლიტიკის კომპასი ის არის, რომ მაქსიმუმი იქმნას მიღწეული როგორც ნაციონალ-პოლიტიკურ უფლებათა სფეროში, ისე ხალხის ქონებრივ-კულტურული მდგომარეობის განმტკიცების საქმეში.

ამიტომ არის, რომ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის პროგრამა და ტაქტიკა, რაოდენად ეს შეეხება კლასობრიობას, კომპრომისიულია. ეროვნული პოლიტიკა დემოკრატიულ კლასთა პარალელოგრამის ძალთა დიაგონალი უნდა იყოს: ასე არის პოლონეთში, სადაც „ნაროდოვაია დემოკრატიას“ მხარში უდგას როგორც მოქალაქე ბურჟუა, ისე სოფლელი გლეხი, საერთოდ მიწის მომქმედი და მუშათა ნაწილიც.

საქართველოში ჯერ-ხნობით არც ასეთი კლასთა შორისი პარალელოგრამი არის და არც მისი შესაფერი დიაგონალი იხედება.

ჩვენი ეროვნული დემოკრატიის პარალელოგრამს ერთი კუთხე აკლია, ის კუთხე, სადაც თანამედროვე ეროვნულ კულტურის შემქნელი კლასი—ბურჟუაზია უნდა იდგეს. ჩვენში ჯერ კიდევ ვერ იქნა და ბურჟუაზიამ ვერ დაიკავა შესაფერი ალაგი, და ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენში არ დაგროვილა კიდევ ის საწარმოვო და მომხმარებელი სიმდიდრე, რომლის სარგებლით იკვებება ყველგან ერის სულიერი კულტურა და რომლის კაპიტალი არის აუცილებელი პირობა ეკონომიურ ცხოვრების გადალაგებისათვის.

ამიტომ არის, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართველ ბურჟუაზიის განმტკიცების საქმეს, დარწმუნებული იმაში, რომ ქართული ბურჟუაზიისა ერის ინტერესები დღეს სავსებით ეთანხმება ერთი მეორეს და მით უფრო, რომ ქართველ ერის უმრავლესობის მესაკუთრე გლეხთა ინტერესები იმავე კატეგორიისა არიან, როგორც ბურჟუაზიის. ეროვნულ-დემოკრატიისათვის ყურადსაღებია მუშათა კლასის სოციალურ უფლებათა დაცვაც, ვინაიდან ეს ერთი გარანტიათაგანია ერის ჯანსაღ განვითარებისათვის.

ასეთია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პრინციპები.

[illegible] პირველ ყოვლისა გავიმეორებთ, როგორც მარცხნივ ისე მარჯვნივ, ჩვენი მარცხენა საზღვარი იქ თავდება, სადაც სოციალისტურ დიქტატურის და სოციალურ კატასტროფის ქადაგება საქართველოს ეროვნულ დაცვის უარყოფას უერთდება და ჩვენი მარჯვენა საზღვარი კი იქ იხაზება სადაც სოციალურ რეფორმების უარყოფა რევოლუციის დაცვის უარყოფასთან არის შეერთებული...

დღევანდელი ყრილობა მეტის მეტი საპასუხისმგებლო მომენტში იკრიბება.

ომისა და რევოლუციის მსვლელობასთან გარდაწნულია საქართველოს ბედი და უბედობა.

ქართული საკითხის გარდაწყვეტა, რუსეთში ან უცხოეთში აუცილებლად ითხოვს მთელი ქართველი ერის ხმის ამოღებას.

მარტოდ მარტო არც ერთ პარტიას არ ძალუძს მთელი ერის სახელით მოქმედება.

აუცილებელია ის პარტიათაშორისო კომპრომისი, რომელიც ერთად ერთი ფაქტორია პოლიტიკურად გაწვრთნილ ერთა პროგრესისა.

პარტიათაშორისი შეთანხმება კი შეუძლებელია, სანამ ყოველ პარტიას ცალ-ცალკე არ აქვს მაქსიმუმიდან მინიმუმამდე განსაზღვრული პროგრამა და პლატფორმა.

ვერც საქართველოს პარტიები ასცდება ამ პროცესს.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობის ვალია სათანადო პასუხი გასცეს იმ საპროგრამო და სატაქტიკო საკითხებს, რომელნიც არიან აღნუსხული ყრილობის წესრიგით და რომელთა ღირსეულ გარდაწყვეტას დიდი როლი ექნება ქართულ პარტიათა ეროვნულ შეთანხმებისათვის.

ჩვენ წინ იშლება ფართო ჰორიზონტი. პარტიის პროგრამისა, ტაქტიკისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ავტორიტეტული სახელმძღვანელო ცენტრის შექმნა, სხვა პარტიებთან შეთანხმება და ქართული ეროვნული კრების მოწვევა,

აი ის გზა, რომელიც გარდუვალია ქართული პარტიისათვის, თუ ჩვენ გვსურს რომ საქართველო არ დაიჩაგროს არც რუსეთის დამფუძნებელ ყრილობაზედ და არც მომავალ საერთაშორისო საზავო კონგრესზედ

საქართველო გვავალებს.

გ. ვეშაპელი.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი, თიბათვის 2. დასავლეთის ფრონტზედ ჩვეულებრივი სროლაა.

რუმინეთის ფრონტი. ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ფრონტი. ტირ-ბოლუს ყუმბარას რომ ვუშენდით ქალაქში ცეცხლი გაჩნდა, ცეცხლმა ტირ-ბოლუს დიდი ნაწილი გაანადგურა. მარანის გადასავალთან მტრის ცხენოსანთა იერიში მოვიგერიეთ. მაისის 28-ს კერინდის აღმოსავლეთ რაიონში, ხოსროვ აბადთან მტრის რაზმები ჩვენს ტრანსპორტს დაეცნენ, 11 ყაზახმა, რომელნიც ტრანსპორტს თან ახლდნენ ბრძოლა აუტეხეს მათ და 1 ნახ. საათი იცავდნენ თავს ვიდრე ქვეითი ჯარი არ მიეშველა.

მფრინავთა მოქმედება. მტერმა ბოლდანთან ჩვენი მფრინავი ჩამოაგდო, რომელიც მტრის სანგრებსა ჰზვერავდა, მფრინავი ვაკულოვსკი დაიჭრა, ჰაეროპლანი დაიწვა. მფრინავმა პრაპორჩიკმა ვიატოვმა ყუმბარა ჩააგდო დაბა ვესკნში. მფრინავი უნტერ-აფიცერს კუზნეცოვსა და შტაბს-კაპიტან ევსიუკოვს თავ-დაესხნენ მტრის მფრინავები. ჩვენი ჰაეროპლანი დააზიანეს, ევსიუკოვი დასჭრეს, მაგრამ მაინც კუზნეცოვმა მოახერხა და ჩვენს თხრილებთან დაეშვა. მფრინავი პრაპორჩიკი კვასნიკოვი, დაზვერის დროს ჰანტესთან თავს დაესხა მტრის ჰაეროსტატს.

ბელგიის ბანაკის ცნობა.

ჰავრი, თიბათვის 1. ოფიციალი. სტენსტრატეს, ლიზერნასა და ბუსინგეს რაიონებში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა

პარიზი, თიბათვის 1. ოფიციალი. ღამის განმავლობაში, ბრეის რაიონში კრაონის ჩრდილოეთით, რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით და მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე კიუმიერის პირდაპირ მტერმა საარტილერიო ბრძოლა დაიწყო. ამ სროლის შემდეგ რამდენიმე იერიში მოიტანა ჩვენზე, მაგრამ სულყველა მოვიგერიეთ. ფერმა ნავარეს აღმოსავლეთით ჩვენ გერმანელთა [illegible] რეთ.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი, მაისის 31. ოფიციალი. მდ. სუშეს ორივე ნაპირზე მტრის კონტრ-იერიში ჩვენს პოზიციებზე მოვიგერიეთ. ლინკურის აღმოსავლეთით და ლა-ბასეს დასავლეთით ჩვენ მტერს თავს დავესხით. მაისის 25 აქეთ ჩვენ დავატყვევეთ 7.342 კაცი, მათ შორის 145 აფიცერი, წამოვიღეთ 47 ზარბაზანი და 24 ტყვიისმტყორცნელი.

მფრინავთა მოქმედება. ჩამოვაგდეთ გერმანელთა 3 ჰაეროპლანი.

ეგვიპტეში.

ლონდონი, მაისის 31. ოფიციალი. მაისის 30-ს ღამით ჩვენ მტრის სადარაჯოს თავს დავესხით. შევიპყრეთ ერთი ტყვე და წამოვიღეთ ერთი ტყვიისმტყორცნელი.

მაკედონიაში.

ლონდონი, მაისის 31. ოფიციალი. მთელი კვირის განმავლობაში ანგისტის ჩრდილოეთით ჩვენი ავიატორები მტრის სამხედრო შენობებს ყუმბარას უშენდნენ.

მფრინავთა მოქმედება. ლონდონის მიმართულებით, ესექსის საგრაფოს სანაპიროებთან შენიშნეს მტრის 15 ჰაეროპლანი. ეს ჰაეროპლანთა რაზმი შემდეგ ორად გაიყო. ლონდონის აღმოსავლეთ უბანში ყუმბარა ჩამოჰყარეს. ერთი ყუმბარა რკინის გზის ლიანდაგზე, მატარებელს მოჰხვდა, მოკლულია 7 კაცი, დაჭრილია 16, მეორე ყუმბარა სკოლის შენობას მოჰხვდა, აქაც მოკლულია 10, დაჭრილია 50. ბევრი ყუმბარა ჩამოაგდეს ისტენდის სხვა და სხვა ნაწილებში. სულ მთელს ლონდონში მოკლულია 41 კაცი და დაჭრილია 121.

ფესალიაში

პარიზი. მაისის 31. სოლუნიდან იტყობინებიან: ფესალიაში ოპერაციები გრძელდებაო. მაისის 30, მსროლელთა ერთი ბატალიონი ბაზოსა და ლარისის შუა გზაზე შეჩერდა. კლაესონი და ტიგრონოვო უბრძოლველად დავიჭირეთ. ლარისაში ცხენოსანთა ჯარმა ქალაქს ალყა შემოარტყა და სადგურს თვალყურის დევნება დაუწყო. ბერძენმა გენერალმა ბაივასმა მთავარ სარდალს შეატყობინა წინააღმდეგობას არ გაგიწევენო და ამასთანავე პოლკოვნიკმა გრივასმა ვერაგულად ჯარს სროლა აუტეხა. ფრანგების ცხენოსნები სროლითვე უპასუხებდნენ, ჩვენ ორი აფიცერი და ოთხი ცხენოსანი მოგვიკლეს, დასჭრეს 20, ბერძნებმა ჩვენზე მეტი დაჰკარგეს. ჩვენ დავატყვევეთ ორი პოლკოვნიკი, 51 აფიცერი, 269 ჯარის კაცი და დროშა. ბაივასი დატუსაღებულია.

ჯარის გადმოსხმა პირეაში

პარიზი. თიბათვის 1. ათინიდან ცნობა მოსულა: ქალაქში სიწყნარეა. კონნარმა ჯარები პირეაში გადმოსხა. ჯარის გადმოსხმამ უინციდენტოდ ჩაიარა.

გემების დაღუპვა.

პარიზი. მაისის 31. სამგზავრო გემი „სეკანა“ სამხრეთ ატლანტიკის საზოგადოებისა, დაღუპულ იქმნა მაისის 26 ხმელთა შუა ზღვაში. გემზე იმყოფებოდა 550 მგზავრი და ეკიპაჟი 100 ადამიანიდან შესდგებოდა. საერთო რიცხვი დაღუპულთა 19 უდრის.

რუსეთის მისია ამერიკაში

ნიუ-იორკი. მშვიდ ოკეანეს ნავთსადგურებში (?) მოვიდა რუსეთის მისსია.

გემთა შეიარაღება

ლონდონი. თიბათვის 1-ლი. სასურსათო მინისტრმა აღნიშნა გადასწყვეტა ყველა სავაჭრო გემი შეიარაღებულ იქმნეს ერთიან ორი ზარბაზნით.

ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი

ვაშინგტონი. თიბათვის 1-ლი. სენატმა სამხედრო ბიუჯეტად 3 281 მილიონი დოლარი დაამტკიცა.

ლაშქრის მოწოდება.

რიგა, თიბათვის 1. ლაშქარმა შემდეგი მოწოდებით მიჰმართა ზურგის ჯარს:—რევოლუციის წინაშე თქვენც აგებთ პასუხს, ვალით თქვენს შემწეობასაო.

„ფორვერტსი“ და ვილსონის ნოტა.

სტოკჰოლმი, თიბათვის 1. გერმანულ პრესაში ვილსონის ნოტამ მტრული განწყობილება გამოიწვია. „ფორვერტსი“ სწერს: „საინტერესოა აღინიშნოს ნოტაში ორი საეჭვო დებულება: ჯერ ერთი ის, რომ გერმანეთმა დაპყრობაზე ფიქრს თავი დაანება და მზათ არის სტატუს-კვო-ანტესი დაკმაყოფილდესო და, მეორე ის, რომ მმართველი კლასები გერმანეთში მზათ არიან განახორციელონ თავისუფლების ის პრინციპები, რომელნიც სხვა ქვეყნებმა მიიღეს“. „ლოკალ აინცეიგერ“-ი [illegible] გულ-დახურულობასა სწამებს, რადგან შობამდე ვილსონი ჰქადაგებდა ზავი-გაუმარჯვებლადო.

ბრძოლის ველის დათვალიერების განზრახვა

მინსკი, თიბათვის 2. მოვიდნენ მთავარ-სარდალი და ფრანგთა მისიის მეთაური ჟანენი, ბრუსილოვი მათთან ერთად მოკლე ხანში შეუდგება ბრძოლის ველის დათვალიერებას.

ელზას ლოტარინგიის საკითხი

სტოკჰოლმი, თიბათვის 1. ორშაბათს და სამშაბათს გერმანეთის სოციალ-დემოკრატების და პროფესიალურ კავშირთა წარმომადგენლები ელზას-ლოტარინგიისა და ბელგიის საკითხზე მსჯელობდნენ.

რუსეთი და უცხოეთი

შიმშილი.

რიაზანი. მაისის 31. სამაზრო ქალაქებს შიმშილი მოელით. რამდენიმე სოფელი აღელვებულია. საგუბერნიო გამომკვებ კომისიას მოქმედებას მაზრის კომიტეტები ხელს ვერ უწყობენ. მცხოვრებნი ანგარიშს არ უწევენ სიძვირეს, ოღონდ გასასყიდი კი მოიპოვებოდეს რამე.

ხუტორელების გადასახლება.

რიაზანი. მაისის 31. რანენბურგის მაზრის სოფლის საზოგადოებანი ახალ ხუტორების მოსახლეობას გასახლებას სთხოვენ. თავიანთ ინტერესების დასაცველად ხუტორების მოსახლეებმა ბიურო დაიარსეს და პეტროგრადს თავიანთი დეპუტატებიც გაგზავნეს.

ეკლესიის გაძარცვა.

სარატოვი. თიბათვის 1-ლი. ბოროტ-გამზრახველთა ჯგუფმა გაძარცვა ჯვარის ეკლესია, [illegible] ჩაძინებულ ლოტბარს წაასწრეს და აღრჩობდნენ, მაგრამ გამვლელმა აფიცრებმა შეჰნიშნეს და ბოროტ-მოქმედნი მსწრაფლ მიიმალნენ. ეკლესიის სალარო გასძარცვეს. ბარძიმ-ფეშხუმი იატაკზე ეყარა.

საფინანსო ახალი გეგმა.

პარიზი. მაისის 31. (დაგვიანებული) ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში საფინანსო ახალი გეგმა შეიტანა, რომელიც ჰგულისხმობს გადასახადების გადიდება-მომატებას.

ძარცვა-გლეჯა.

ტაგანროგი. თიბათვის 1. დღისით ბოროტმოქმედნი შეცვივდნენ ძმ. სკარამანგების აგურხანის კანტორაში და გაიტაცეს ნაღდი ფული—2000 მან. და 10000 მან. თავისუფლების სესხის ობლიგაციები. ერთი ბოროტმოქმედი აფიცრის ფორმაში იყო გამოწყობილი.

ამავე ღამით 4 მძარცველმა გაჰქურდეს ინჟინერ ტარასევიჩის ბინა. წაღებულია 15000 მან. ნივთეულობა.

* * *

საბერძნეთის მეფის ტახტიდან გადადგომა

მოკავშირეთა მოთხოვნილების შესრულება.

პარიზი. მაისის 30. ათინიდან იტყობინებიან: დილით ზაიმისმა კონარს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „რადგანაც ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ერთხმად მოითხოვენ მეფე კონსტანტინეს ტახტიდან გადადგომას, გაცნობებთ, რომ მეფე ყოველთვის ზრუნავდა საბერძნეთის საკეთილდღეოდ და ახლა მანვე გადასწყვიტა საბერძნეთის სამეფო ტახტი თავის შვილს ალექსანდრეს დაუთმოს.

მეფე კონსტანტინეს და მისი ოჯახობის გამგზავრება.

პარიზი. მაისის 31. ათინიდან იუწყებიან: გუშინ, დღის 5 ს. მეფე კონსტანტინე გაემგზავრა. ახალმა მეფე ალექსანდრემ ფიცი მიიღო. ქალაქში სრული სიწყნარეა. მეფე იტალიის კონტრ-ნაღმოსნით იტალიაში გაემგზავრა, საიდანაც იგი თავის ოჯახობით შვეიცარიაში წავა.

საბერძნეთის მეფის გადადგომა.

ათინა. 1-ლი თიბათვე. მეფე და მეფის ოჯახობა სასახლიდან იდუმალად წავიდა. ინგლისის გემზე დარჩება, სანამ იტალიიდან მათ წასაყვანად კრეისერი არ მოვა. შესაძლებელია, მეფის ოჯახობა საბერძნეთის სამეფო გემით გაემგზავროს ინგლისელ გემთა თანხლებით.

დანიის პრესის აზრი.

კოპენჰაგენი. თიბათვის 1. პრესა, მეფე კონსტანტინეს გადადგომის შესახებ, ამბობს, რომ ამ ამბის მთავარი ფაქტორი რუსეთის რევოლუციაა, რომელმაც მეფეს უმთავრესი ფუძე გამოაცალაო.

იტალიის პრესის აზრი.

რომი. მაისის 31. (დაგვიანებულია). მეფე კონსტანტინეს გადადგომის შესახებ იტალიის პრესა ჯერ-ჯერობით არაფერს ამბობს, თუ რა გავლენას იქონიებს ეს ამბავი საერთაშორისო პოლიტიკაზე, მხოლოდ „ჯიორნალედ-იტალია“ სწერს: მეფის ტახტიდგან გადადგომა იმითია ცუდი, რომ დაიგვიანა, რადგან ეხლა საბერძნეთის მდგომარეობა ევროპიულ კონფლიქტში ძნელად თუ შეიცვალოსო.

შთაბეჭდილება ბერლინში

სტოკჰოლმი. თიბათვის 1. ბერლინის კორესპონდენტი „დაგენს-ნიეტერ“-ს ატყობინებს, რომ საბერძნეთის მეფის გადადგომას ბერლინში დიდმნიშვნელოვან ფაქტად სთვლიანო. გაზეთები მეფე კონსტანტინეს აქებენ, გმირად სთვლიან და აღნიშნავენ, რომ კონსტანტინე რომანოვთა წყალობით იდგა ტახტზეო.

საბერძნეთის მდგომარეობა

ათინა. თიბათვის 1. როგორც ახლა გამოირკვა, საბერძნეთის მდგომარეობა სასურველ დონეზე სდგას და არავითარი ამბობი და საფრთხე არ მოელის.

რევოლუცია

დეპეშები

დაპატიმრება

ნიკოლაევი-ხერსონის. თიბათვის 1. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დადგენილებით დაპატიმრებულ იქმნენ ქალაქის გრადონაჩალნიკი, ქალაქის თავი და ქალაქის საბჭოს წევრები და მდივანი.

კირსონის რესპუბლიკის დამხობა

ტამბოვი, თიბათვის 2. შეიპყრეს და დააპატიმრეს კირსონის რესპუბლიკის ორგანიზატორი ტრუნინი; მისმა მიმხრეებმა იარაღით წინააღმდეგობა გასწიეს; მოკლულია რვა კაცი; ბევრიც დაიჭრა. კირსონში სამხედრო რაზმი გაიგზავნა.

თავისუფლების სესხი

ადესა, მაისის 31. (დაგვიანებულია) ვოლინსკის კონცერტზე თავისუფლების სესხზე ხელის მოწერით ორი მილიონი მანეთი შემოვიდა.

ბრძოლა დეზერტირობის წინააღმდეგ

რიგა, თიბათვის 1. ლაშქარი თვი-

თონ იბრძვის დეზერტირობის წინააღმდეგ. ყველა პუნქტებში კომისართა კანტროლი არის დაწესებული. ყოველივე ზომებია მიღებულ.

საფრონტო საოლქო ყრილობის დახურვება

ოდესა, მაისის 27. (დაგვიანებულია) საფრონტო-საოლქო ყრილობა უკვე დასრულდა.

კრონშტადტის ამბები

კრონშტადტი, თიბათვის 1. საგამომძიებლო კომისია შეუდგა რევოლუციის დროს კრონშტადტში დაპატიმრებულთა საქმის გამოძიებას. ახლად დანიშნულმა კომისარმა პარჩევსკიმ სატუსაღოები დაათვალიერა.

ბოლშევიკები და დროებითი მთავრობა

მოსკოვი, მაისის 31. (დაგვიანებულია) დღეს, პუშკინის ძეგლთან მეუმრავლესეთა ჯგუფი შეიკრიბა. მეტისმეტი მკვახე სიტყვები წარმოსთქვეს დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ერთი მეუმრავლესე პირდაპირ ყვიროდა—ხიშტები გერმანელებს კი არა, კაპიტალისტებსა და დროებით მთავრობას ჩავცეთ გულშიო. ორატორი ჯარის კაცების შემწეობით შეიპყრეს და კომისარს წარუდგინეს.

ეროვნული საკითხი

(დეპეშები)

უკრაინის ავტონომიის გარშემო

პეტროგრადი. თიბათვის 1. დროებითმა მთავრობამ არ შეიწყნარა უკრაინის რადის თხოვნა ავტონომიის შესახებ, ვინაიდან ეროვნული საკითხი საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადაჭრასო.

ფინეთის უფლებების გაფართოვება

ჰელსინგფორსი. მაისის 31. სეიმმა მსჯელობა იქონია დროებით მთავრობის მიერ ფინეთის უფლებათა გაფართოვების შესახებ. სენატორმა ტაკოიმ დიდი სიტყვა წარმოსთქვა, დაახასიათა ფინეთის შინაური მდგომარეობა, შეეხო რკინის გზის გაფიცვებს და შიში გამოსთქვა, ანარქია გველისო.

დროებით მთავრობის კანონპროექტი განსახილველად საგანგებო კომისიას გადაეცა.

უკანასკნელი დეპეშები

იაროსლავის როსტოვში ბრბომ ექვსი ავაზაკი სახალხოდ დახვრიტა. ავაზაკებს მონასტრის გაცარცვა უნდოდათ.

—

ფრონტიდან ცარიცინში მოვიდა იმ პოლკის დელეგაცია, რომელიც ომამდე ცარიცინში იმყოფებოდა და გარნიზონს განუცხადა, თუ ქალაქში უწესობა და ანარქია არ დაცხრება, პოლკი ფრონტიდან სრულიად წამოვა ცარიცინში და იარაღით შეებრძოლება ანარქიასაო.

ამ უკანასკნელ დროს ქალაქში დაარსდა პარტია, სახელდობრ: „წმიდა სიმართლე“. ეტყობა ეს პარტია კონტრ-რევოლუციურია. პარტია მრავალ ცირკულიარებს ჰგზავნის. ცირკულიარები ოქროს ასოებითაა ნაბეჭდი. ამ პარტიის წყალობით მდიდარ ვაჭარ შარდაჩუკის სახლში საშინელი აფეთქება მოხდა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. პარტიას იარაღი აქვს, პატრონები და დინამიტები.

—

მოსკოვში ახლად დაარსებულ ქალთა ჯარში მრავალი მოხალისე ქალი ეწერება. მუშაობის დებულება შედგენილია. გადაწყვეტილია დაიცვან ჯარში რკინის დისციპლინა და მოვალეობა პირნათლად აასრულონ.

—

მოსკოვში დეზერტირებისთვის ცალკე სასამართლო უნდათ მოაწყონ, რომელშიაც შევლენ თავმჯდომარე იურისტი და ორი წევრი აფიცერი და ჯარის კაცი.

ქრონიკა

კავკასია

◆ **ადგილობრივ ენათა მასწავლებელთა ყრილობა.** დღეს, კვირას, დილის 10 საათზე პირველ ვაჟების გიმნაზიაში დანიშნულია თბილისის სასწავლებლების ქართულ-სომხურ-თათრული ენათა მასწავლებლების კავშირის დამფუძნებელი კრება. განსახილველია წესდების პროექტი.

◆ **საგამომძიებლო კომისია.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შეერთებულ სხდომაზე გადასწყდა საგამომძიებლო კომისიაში შევდეს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის კომისია, მუშათა დეპუტატების კომისია და წარმომადგენლები კავკასიის არმიის ცენტრალურ კომისიისა.

◆ **სომეხთა ყრილობა.** საპარტიათაშორისო ყრილობამ, სომხეთის ეროვნულ ყრილობის ორგანიზაციის პროექტი შეიმუშავა. ამ პროექტის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობს 1.924.000 სომეხი რუსეთში მცხოვრები. ყოველი 10.000 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი ერთ დელეგატს აირჩევს და ამ გვარად ყრილობაზე 185 დელეგატი იქნება. ყრილობა თბილისში მოხდება.

საქართველო

◆ **სააგრარო უწესრიგობა.** ახალქალაქის მაზრიდან იუწყებიან, რომ აქ აგიტაცია ჰხდება საგრარო უწესრიგობისათვისაო. ძალიან გახშირდა მემამულეთა და სახელმწიფო ტყე-ველების ძალათ წართმევა.

თბილისი.

◆ **ეპ. ლეონიდე,** სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე, კვირას, თიბათვის 4-ს მწირველი ბრძანდება კუკიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

◆ **ხალხის თავისუფლების პარტიაში.** ხალხის თავისუფლების პარტიის თბილისის კომიტეტს განზრახული აქვს კვირას, თიბათვის 11, მოაწყოს თბილისში დიდი მიტინგი.

◆ **წვრილ ვაჭარ. საზ. კრება.** კვირას, 4 ივნის, საღამოს 5 საათიდან დანიშნულია წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება წმ. ნიკოლოზის ეკლესიის შკოლაში მე 8-ე და მე-9-ე უბნის კომიტეტის ასარჩევად (19 თებერვ. ქ.).

◆ **თავისუფლების სესხი.** თიბათვის პირველამდე თბილისის სავაჭრო ბანკში თავისუფლების სესხზე ხელის მოწერით შეგროვილა 4.252,300 მანეთი.

ამ ბოლო დროს თბილისის ყველა ბანკებში თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა უფრო და უფრო ხშირდება.

თავისუფლების სესხის საზოგადო კომიტეტმა მოწოდებები გაგზავნა ყველა პროვინციის ქალაქებში რითაც მოუწოდებს მცხოვრებთ თავისუფლების სესხში მონაწილეობა მიიღონ და აღნიშნავს, რომ ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივნისამდე.

◆ **საწყლო სამმართველო.** ოთხშაბათს, მაისის 31, მოხდა საწყლო მმართველობის სხდომა, რომელმაც დაადგინა: ეთხოვოს დროებით მთავრობას რათა დამტკიცებულ იქმნას წევრთა შორის, სამი წევრი საწყლო მმართველობის მიერ ამორჩეული და აგრეთვე ინჟ ა. ფონ-ესენის წევრობიდან გადაყენება, რადგანაც იგი სამედიატორო სამართალში არის მიცემული. ამასთანავე დადგენილ იქმნა მუშაობა სწარმოებდეს საბჭოს ხელმძღვანელობით, რომელსაც კი საწყლო მმართველობის საბჭო ამოირჩევს. ამავ საღამოს 7 კაცისაგან ამორჩეული დეპუტაცია წარუდგა კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯ. მოვალეობის დროებით აღმას.—სახელმ. სათათ. წევრს—გ. ვ. გუტოპს. თიბათვის 1-ს საწყლო სამმართველოში მოვიდნენ მე 2 უბნის შეიარაღებული მილიციონერები. მათ ზოგიერთ მოსამსახურეებში დაკითხვა მოახდინეს. შუადღის 1 საათზე სამმართველოში მოვიდა ქ. მილიციის უფროსი ი. კარუხაშვილი; მან მოწოდებით მიჰმართა იქ მყოფ მოსამსახურეთ და გადასცა კავკასიის საგანგებო კომიტეტის ორდერი თიბათვის 1-ის თარიღით № 3051-ით, რომლითაც მოსამსახურეთ აეკრძალათ დროებით მუშაობა და გამოცხადებულ იყო საწყლო საბჭოს წევრის ინჟ. ს. თ. ზავალიშინის დაპატიმრება. მმართველობის ტეხნიკმა პოლიაკოვმა პროტესტი განაცხადა, რისთვისაც იგი დაპატიმრებულ იქმნა. ზავალიშინის სახლი გაჩხრიკეს, ხოლო თვით იგი დააპატიმრეს. კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა და საქარხნო საბჭომ ზავალიშინის დაპატიმრების შესახებ პროტესტი განაცხადეს. ამავე ორგანიზაციების წარმომადგენლები გაემგზავრნენ საგანგებო კომისიაში დაპატიმრების მიზეზთა გამოსარკვევად.

◆ **ექიმთა თანაშემწეების კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე, საექიმო საზოგადოების დარბაზში მოხდება კავკასიის ექიმების თანაშემწეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა ყრილობა. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

◆ **ექსკურსია.** დღეს, კვირას, თიბათვის 4 ს საგიმნასტო საზოგადოება „შევარდენი“ ჰმართავს ექსკურსიას ქალაქს გარედ ეგრედ წოდებულ „ბულბულის ჭალისაკენ“ 4 ვერსის მანძილზე. ვინაიდგან მსურველი ბევრია, ამისათვის საზოგადოება „შევარდენმა“ ნება დართო სტუმრებსაც ექსკურსიაში მონაწილეობისა. იქ გაიმართება საგიმნასტო თამაშობანი ჩეხური, ამერიკული და სხვათა შორის ქართული „ლელო“-ც. არა წევრნი იხდიან საზოგადოების სასარგებლოდ დიდნი 50 კ. მოწაფენი 25 კ. ექსკურსანტები უნდა მოგროვდნენ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან, დილის 9 საათზე თავის სამყოფ საუზმით.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სექცია** ტეხნიკური ტერმინოლოგიისა, ნომენკლატურისა და ლიტერატურისა სთხოვს ყველას (არა წევრთაც), ვისაც კი ამ სექციაში მუშაობა სურს, და რაიმე მასალის ან ცნობის მიცემა შეუძლიან, მობრძანდეს დღეს, საღამოს 8 საათზედ, ელისაბედის ქ. № 98, ინჟინერ ყიფშიძესთან. ამ უკანასკნელ წლებში ზოგიერთ ქართულ წრეებში პეტროგრადს და მოსკოვში, აგრეთვე სტუდენტურ ორგანიზაციებში იყო ზოგი რამ მუშაობა ამ დარგში და კარგი იქნება თუ ყველა ნამუშევარს, შეგროვილ მასალას თუ ცნობას გამოიყენებს სექცია ამ ახალ, მნიშვნელოვან საქმეში. დახმარება ქართულ ტეხნიკოსების სექციის საჭიროა ყველამ გაუწიოს.

პროვინცია.

◆ **ომის მოწინააღმდეგეთა დაპატიმრება.** ამ დღეებში შეიპყრეს და დაატუსაღეს რამდენიმე პირნი, რომლებმაც აგიტაცია გაუწიეს დეზერტირებს, რომ ომში აღარ წასულიყვნენ.

◆ **წარმოდგენები თელავში** ძალიან გახშირდა ეხლა, ყველა ვინც არა მგონია, მცოდნენი და არ მცოდნენი, ქალნი და კაცნი, ყველანი მსახიობობას ეწევა. ამოარჩევენ რომელიმე საძნელო პიესას, გაივლიან ორ რეპეტიციას და წარმოდგენაც მზად არის.

◆ **მასწავლებელთა ადგილები** თავისუფალია ამ ქამად ქ. ახალციხის გიმნაზიაში, საჭიროა სამი ფილოლოგი (ისტორიისა, ლათინურისა და რუსულ ენათა) და ერთიც ბუნებისმეტყველი.

◆ **უბედური შემთხვევა.** თელავში 28 ამ თვეს, ღვთაების ეკლესიის მახლობლად, შ. ზახუტაშვილის ადგილში, კლდის პირას ქეიფობდნენ ლაშით რამდენიმე პირნი, უცაბედად ერთი მათგანი, ვინმე შაქრო ჯანიშვილი კლდეზე გადავარდა და იქვე სული განუტევა.

◆ **საქველმოქმედო სეირნობა.** 28 მაისს „ედემის“ ბაღში, თელავში განზრახულ საფეიქრო (საქსოვე) სკოლის სასარგებლოდ, გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა, ლატარია-ალეგრით და სხვა და სხვანაირი გასართობებით.

მასწავლებელთა ყრილობა

კავკასიის მასწავლებელთა სადელეგატო ყრილობა დამთავრდა. ყრილობამ 12 დღის გასტანა. პირველი სხდომები ყრილობამ მიმდინარე პოლიტიკური მომენტის განხილვას მოანდომა, რის შესახებ მიღებული რეზოლუცია იმედს გამოსთქვამს, რომ ამის შემდეგ მთავრობის მოქმედება შეთანხმებული იქნება მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს მუშაობასთან. ომის შესახებ ყრილობა სულითა და გულით მიესალმა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს მიმართვას მთელი ქვეყნის ხალხთადმი. ყრილობის აზრით ომი უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ რუსეთის დემოკრატიას საშუალება არ ექნება სხვა ქვეყნების დემოკრატებთან ერთად შეკრას უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი, რომელსაც საფუძვლათ დაედება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი.

დანარჩენი სხდომები ყრილობამ სასკოლო საკითხების გარჩევას მოახმარა. განხილულ იქმნა შემდეგი წინადადებანი: სკოლის ნაციონალიზაცია; რეორგანიზაცია დაბალი და მაღალი პირველ დაწყებითი და საშუალო სკოლათა, სასწავლო ოლქის გამგეობის რეორგანიზაცია საზოგადოებრივობის პრინციპის მიხედვით; კერძო სკოლის ორგანიზაცია; სასკოლო ასაკამდე და სკოლის გარეშე საკითხები; დაბოლოს ყრილობამ მიიღო ზოგიერთი შესწორებით კავკასიის მასწავლებელთა კავშირის წესდება. კავშირი მოქმედობს 22 მაისიდან და მოუწოდებს შეუერთდენ მას პროვინციალური კავშირები. ყრილობამ დაადგინა აგრეთვე შეუერთდეს მთელი რუსეთის მასწავლებელთა კავშირს. ყრილობამ აუცილებლად სცნო სასწავლებელთა ადმინისტრატიული და პედაგოგიური შემადგენლობის ხელ-ახალი არჩევა, რომელსაც მოაწყობს ადგილობრივი თვითმართველობათა მიერ შედგენილი სასკოლო კომიტეტები, ან და ეს უნდა მოახდინოს საოლქო სასწავლო საბჭომ. საბჭო არჩეული იქნება.

დაბოლოს ყრილობამ შეადგინა ბიურო. ბიუროში აირჩიეს: თავმჯდომარედ ი. დ. მელიქ-შახნაზაროვი, თავმჯდომარის ამხანაგად გ. გ. კონიევი, მდივნად გ. დ. საპოჟნიკოვის ქალი და ნ. ნ. ბერეზოვსკი. წევრებად: ლ. ა. იშკოვი, ნ. ა. ილინსკი, ნ. ა. დუბროვსკი, ა. ბ. მდივანი, დ. დ. პარკაძე, ო. ა. მირაქიანი, სუხანკუნოვი და კაჩარლინსკი. ბიურო მოთავსებულია თბილისის საქალებო გიმნაზიის შენობაში. ბიურო სთხოვს კავკასიის მასწავლებელთა ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ კავშირში შესვლა, ეხლავე აცნობონ მათ.

ნოე ჟორდანიას
რეზოლუცია ეროვნულ საკითხის შესახებ.

გლეხთა და მუშათა დელეგატთა ყრილობამ მაისის 30-ს, კამათის შემდეგ მიიღო ნოე ჟორდანიას შემდეგი რეზოლუცია: „მუშათა და გლეხთა ინტერესები მოითხოვენ ისეთს უფლებრივ ნორმებს, რომლითაც უზრუნველ-ყოფილი იქნება მათი თავისუფალი კულტურული განვითარება. ეს ნორმები უნდა დამყარდეს ხალხის სრულ უფლებიან მართვა-გამგეობის მკვიდრ საფუძველზე, როგორც პოლიტიკურ ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოს ამ გვარი დემოკრატიზაცია, მთელი რუსეთის დემოკრატიის ძირითად მოთხოვნას შეადგენს, რომელმაც რუსეთის ისტორიაში პირველად შექმნა პოლიტიკური შესაძლებლობა ეროვნულ კითხვის გადაჭრისა საერთო სახელმწიფოებრივს ფარგლებში. ასეთ საერთო პოლიტიკურ წესწყობილებაში ეროვნულ კულტურის განვითარება შეიძლება უზრუნველ ყოფილიყოს იმ პირობით, უკეთუ რუსეთში მცხოვრებთ ყველა ერებს საშუალება მიეცემათ, საერთო, სრული თვითმართველობის შექმნისა. ასეთ თვითმართველობებს მიეცემათ უფლება შექმნან ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც შეასრულებენ იმ საზოგადოებრივ უფლებრივ ფუნქციებს, რომლებსაც დაავალებს მათ სახელმწიფო განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მართველობის მიზნების განხორციელებას, მაგრამ თვითმართველ ერთეულებს აქვთ თავის განსაკუთრებული კულტურულ-ეკონომიური და უფლებრივი ინტერესები და ამ სფეროში ის ჰმოქმედებს, ადგილობრივი ორგანოების საშვალებებით, სრულიად დამოუკიდებლად.

მაგრამ არა თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი უფლების მიხედვით, როგორც ეს არის სახელმწიფოში, არამედ ამ სახელმწიფოს დავალებით. სახელმწიფოს უფლება აქვს ზედამხედველობისა, რომ თვითმართველობა არ გადასცდეს კომპეტენციების იმ ფარგლებს, რომლებიც მას აქვს მინიჭებული.

იმ ოლქებში, სადაც სხვადასხვა ერები შერეულათ მოსახლეობენ და ამიტომ მათ არ შეუძლიათ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობის ერთეულების მოწყობა—იქმნება ტერიტორიალური თვითმართველობები საერთო საქმეებისთვის და ეროვნულ-კულტურული საქმეების მოსაწყობად თვითეულ ერისთვის.

ასეთ ტერიტორია-კულტურულ პრინციპზე დამყარებული ეროვნული თვითმართველობა ნაციონალურ ბრძოლას მინიმუმამდის დაიყვანს.

პრესის მაგიერ

მიწის სოციალიზაცია „სახალხოლებს“ ჭირად გაუჩნდათ. ისეთ ჭირად, რომ თვალზე და გონებაზე ბისტი გადააკრა და მის იქით აღარას ანახვებს. მათ ასე ჰგონიათ, რომ თუ თვითონ არიან სოციალიზაციის მომხრენი, ქვეყანაც მათ უნდა აჰყვეს და „პუბლიცისტი, მწერალი, ინტელიგენტი, ნასწავლი, ხალხის მეთაური“ ყველა მიწის სოციალიზაციის მომხრე უნდა იყოს. ასე სწერს „სახალხო გაზეთში“ ბ. სამსონ დადიანი. ჩვენ კი ვურჩევთ მას, რომ თუ გომართელი მას ჰკვიანიც ჰგონია, განათლებულიც და ხალხის მეთაურიც, ისევ გომართელს გაუგონოს და როგორც გომართელია საკუთრების მომხრე, ისე თვითონაც იყოს. ეს ემჯობინება, თორემ არაფერი საქმეა, რომ ჰკვიან ხალხს თავს ადამიანი სისულელეს ახვევდეს.

გომართელი თავის წერილში, რომელიც ჩვენს გაზეთში „ხალხის თავისუფლებიდან“ იყო გადმობეჭდილი, გლეხებს ეუბნება: ათ დღიურ იჯარით აღებულს თქვენი საკუთარი ერთი დღიური გირჩევნიანო“.

ამის გამო ს. დადიანი სწერს:

„თავდაპირველად, ეს „იჯარით აღება“ რაღა შუაშია? როგორ შეიძლება ადამიანმა შეადაროს ერთმანეთს სოციალიზაცია და მიწის იჯარა? ამას წინად გაზ. „საქართველოში“ დ. კახელმაც დასცინა მიწის განსაზოგადოებას ამ „იჯარით“, მაგრამ სოციალიზაციასთან იჯარა რაღა მოსატანია და რაც დ. კახელს ეპატიება, გომართელისათვის ასეთი რამეების არევა უკვე დიდი ცოდვაა“.

რათა ჰგონია ბ. დადიანს, რომ თუ კაცმა მიწის საკითხზე რამე დასწერა უეჭველად მიწის სოციალიზაციაზე უნდა სწეროს. განა დ. კახელს ან ივ. გომართელს ნაკლები გაეგებათ ბ. დადიანზე? რატომ მას არ უნდა იფიქროს, რომ ალბად დასახელებულ პირთ სულ სხვა მოსაზრებანი ჰქონიათ, მოსაზრებანი მიწის სოციალიზაციის გარეშე?! მაგ. საერთოდ მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება. მაგრამ ამისთანა რთულ რასმეს როგორ გაიგებს ბ. დადიანი; თუ ისიც არ იცის, რომ [illegible]საც თავისი თაბაშირი აქვს—არის ისეთი სოციალისტი, როგორც ბ. დადიანია და არის ისეთიც, როგორც ივ. გომართელია. და არიან ისეთი არა სოციალისტებიც, რომელთაც ხალხის ინტერესები უკეთესად ესმით ვიდრე „სახალხოელებს“—მაგ. თუნდა იგივე დ. კახელი. მაგრამ საინტერესო ის კურიოზი გახლავთ, რაც ბ. დადიანს დაემართა:

„იგი (გომართელი) სრულიად მოულოდნელად გაზ. „საქართველოში“ მოგვევლინაო.“

ამბობს დადიანი.

დავამშვიდებთ მას და ვეტყვით, რომ გომართელი ჩვენს გაზეთს თავს ვერ შემოაფარებს—ძალიან დიდი ზღვარია ჩვენს შუა. დადიანი რომ გულისყურიანი ადამიანი იყოს, როცა ჩვენს გაზეთში გომართლის წერილი დაიბეჭდა, მეორე დღესვე ჩვენსავე გაზეთში წაიკითხავდა, რომ გომართლის წერილი „ხალხის თავისუფლებიდან“ იყო გადმობეჭდილი. თუ კი გომართლის ჩვენს გაზეთში „მოვლენა“ გაუკვირდა ბ. დადიანს, რატომ აღარ დაინტერესდა და არ იკითხა თუ ეს როგორ მოხდაო. მაგრამ ბ. დადიანი და „სახალხოელები“ მუდამ სცდილობენ რამე შარი მოგვიდონ, თუნდა უბრალო კორექტურულ შეცდომითაც ისარგებლონ და კუდი გაგვკრან. ამიტომ გაუხარდა დადიანს, რომ გომართლის წერილის ბოლოს მონაწერი „ხალხის თავისუფლებიდან“ არის ეს წერილი გადმობეჭდილიო“ კორექტორის მეოხებით გამოგვრჩა, ასე რომ არ იყოს ბ. დადიანს ეს წერილი არც „ხალხის თავისუფლებაში“ გამორჩებოდა.

მახლას.

რა ნება აქვთ!

მიყვარს სამშობლო. მიყვარს ადგილი, სადაც დავბადებულვარ, სადაც აღზრდილვარ, სადაც დამირწევია ჩემი აკვანი, სადაც მშობლის „ნანა“ მსმენია. და ამისთვის მზად ვარ ჩემი სამშობლოსთვის, ჩემი მამულ-დედულისთვის თავი დავდო, მსხვერპლად შევეწირო. მიყვარს ჩემი ხალხი, მიყვარს კაცობრიობაც, რადგან ერთის სიყვარული—მეორის სიყვარული ხელს არ უშლის. ვისაც სამშობლო არ უყვარს, მას არც კაცობრიობა ეყვარება. ვისაც თავის თავი არ უყვარს, მას არც სხვა ვინმე ეყვარება. დიახ, მიყვარს ჩემი ხალხი და ნუ გაიკვირვებთ თუ ამასაც ვიტყვი: მძულს ჩემი ხალხი! მძულს და მიყვარს—მიყვარს და მძულს! და ან კი როგორ შეიძლება კაცს არ უყვარდეს ის ხალხი, რომელიც დევნილა, რომელიც ტანჯულა, ჯვარზე გაკრულა თავის სამშობლოსათვის, თავის დედულ-მამულისთვის და რომელიც დღესაც იმავე განწირულ მდგომარეობაშია და მტკიცედ იცავს თავის უფლებას, თავის საკუთრებას, რათა არ აღიგავოს და არ გაჰქრეს დედამიწის ზურგიდან. და ამავე დროს კი როგორ შეიძლება კაცს არ სძულდეს ის ხალხი, რომელიც თავის მოძმე ადამიანსვე საფლავს უთხრის, სიკვდილის პირს აყენებს და თავისივე სამშობლოს ადრე და მალე მთლად ასამარებს. ჯერ ისევ პატარა ვიყავი, როდესაც ქართველებზე ეს დასკვნა მივიღე. ქართველი ერი, მხნე, გულადი, ნიჭიერი, დიდი ადამიანის მოყვარე და პატივისმცემელი არის, მაგრამ ამას ჰყავს ერთად ერთი დაუძინებელი მტერი, რომელიც უხილავად, ფარულად უკან დასდევს, არ ასვენებს, აქუცმაცებს მის ძალას და ანგრევს და ანგრევს მის ნაშრომს და ნაამაგარს! საშინელია ეს მტერი, სამარცხვინო, გასაწითლებელი. ეს მტერი იცით ვინ არის? ქართველი ერი. ნუ შეშინდებით. ქართველ ერს, გარდა თავის შინაური მტრის მეტი, სხვა მტერი არავინა ჰყავს. ერთმანეთის გაუტანლობა, კინკლაობა, შური და შუღლი, აი ვინ არის ჩვენი მტერი. ეს არის ჩვენი ისტორიული სენი. ამ სენმა ეხლაც თავი არ დაგვანება. ეხლაც მოგვენახა. ეხლაც გაგვყო ორ ნაწილად. ეხლაც, როდესაც ყველაზედ უფრო გვჭირია შეერთება, შეკავშირება, ერთად მუშაობა, ერთი აზრით, ერთი მიზნით გატაცება, ერთი ეროვნული გრძნობით აღჭურვა—ეხლა დავნაწილდით, ეხლა დავიყოფენით, ეხლა გავიძახით ყველა თავ-თავისას, ერთნი ბარში მივდივართ, მეორენი მთაში. გადაათვალიერეთ ჩვენი ისტორიის ფურცლები და არა ერთ ამისთანა მაგალითს იპოვით. იმის მაგივრად რომ, ყველა შევერთებულიყავით, ყველას ხელი ხელს

ფერხული

დაუბეჭდავი ლექსი გრიგოლ აბაშიძისა *)

რაც კაცის ძალმა ვერ შესძლო,
ის შეასრულა ბუნებამ,
გასწყვიტა ჯაჭვი მონური
სულისა დაძაბუნებამ.

—

ფრთები გაშალა კალამმა,
ძარღვი გაიხსნა ენამა,
გაუმოგვირბინა მოლოცვით
ტკბილმა ციურმა ლხენამა.

—

ჰე, ეხლა უნდა აღდგინდეს
ძველი ჩაგრული დიდება,
იმისი მტერი თვით მოძღვრის
საფლავში გაეკიდება.

—

ჰო, ეხლა უნდა ვიხილოთ
ის უცხო გაზაფხულია,
რაც რომ აკაკის მერცხალმა
გვამცნო, დაგვიტკბო გულია.

—

მაშ მოდით, ძმებო, მოგროვდით,
ერთმანეთ მივცეთ ხელია,
ჩავებათ ყველა ფერხულში,
დრო გვიდგა სანატრელია.

—

აბა, კახელო, დაიწყე,
მაღალი უთხარ, დუშელო,
ბანი ძველებრივ საგმირო
შემოგვაწიე, ქართლელო.

—

თუშო, ფშაველო, ხევსურნო,
ჩერქესნო კვირცხლის რაშითა,
შემოუერთდით ფერხულსა
იარაღ შესხმით ტაშითა.

—

მეორე პირსა დაიწყებს
მეგრელი კარგი მთქმელია,
შემოჰკაკანებს გურული,
ბანს ეტყვის იმერელია.

—

თან მოვა რაჭა-ლეჩხუმი,
ძველად ნაქები გმირია,
აფხაზი მარჯვე მეისრე,
მთელი შავი ზღვის პირია.

—

და ყველა ერთად ქართველნი
იტყვიან სასახელოსა
და ძველ დღეს გაუთენებენ
საყვარელ საქართველოსა.

—

იმ დროს, როდესაც თამარ გვყვა,
არ ვსვამდით შხამს და მწარესა
და ჩვენი დროშა გაშლილი
შუქს ჰფენდა ყოველ მხარესა.

—

მაშ ეხლა უნდა აღდგინდეს
ძველი ჩაგრული დიდება
და ჩვენი საქართველოი
სამოთხედ დაგვირგვინდება.

---

*) ეს ლექსი განსვენებულმა პოეტმა რაფიელ ერისთავის იუბილეზე წაიკითხა

მიგვეცა და ერთ აზრს, ერთ გზას დავმდგარვიყავით, ერთი საბოლოოდ გამორკვეული სიტყვა გვეთქვა, ჩვენ ამის მაგიერად გაცხარებულად ვებრძვით ერთმანეთს. ჩვენი დიდი უმრავლესობა კი, ხალხი გლეხობა, ჩვენი ნამდვილი ძალა კი კი დიდ გაუგებრობაში ჩავყარეთ. მთელი გლეხობა მოწამლულია, მოშხამული, მოტყუებული, ათასი ცრუ პროპაგანდისტების წყალობით. ჩვენ ძველმა მთავრობამ კარგი მახე გვიგდო. ხალხი შეუგნებელი, უსწავლელი, განვითარებას მოკლებული დაგვიტოვა და ვისაც როგორ უნდა ისე წაიყვანს, ისე მოატყუებს, ისე აუხვევს თვალებს, ისე გამოაჭრევინებს ყელს საკუთარ დანით, რომ თითონვე ვერ გაიგებს. რას წარმოადგენს მაგალითად კახეთის უმრავლესი გლეხკაცობა. სიტყვა „ავტონომიას" ვერ გაუხსნებთ, ეშინიანთ, ძაგძაგებენ: შენი ჭირიმე მეორედ აღარ გამიმეორო, ეგ აღარ სთქვა, ეგ ჩვენი დამღუპველი რამ იქნებაო! უხსნის აოამიანი, ნუ იხმარებს თუ გინდ ამ უცხო სიტყვას, ქართულ ენაზე გადათარგმნე, ქართულად სთქვი რას ნიშნავს ეს სიტყვა და მაინც ურწმუნო თომასავით არაფერი სწამს, ისე არავის არ სწყურებია თავისუფლება, როგორც ჩვენ გლეხს და დღესკი იგი თავის თავისუფლების წინააღმდეგ გამოიყვანეს ბნელმა ძალებმა. თავის საკუთრების, თავის ინტერესების წინააღმდეგ აალაპარაკეს ბნელმა ძალებმა, საწყალ გლეხკაცს კი ვერაფერი გაუგია, რომ თავისივე ხელით, თავისივე სამარეს ათხრევინებენ. ადამიანი, რომელიც გადაგვარების გზაზე იდგა, რომელსაც ენა ეკარგებოდა, სარწმუნოება უქრებოდა, ის ადამიანი დღეს, ამას ხელს უწყობს და უფრო გადაგვარების, გადაშენების გზისკენ მიილტვის. ნუ თუ ამას ბოლო არ მოეღება, ნუ თუ ხალხი ვერ ვერ მოიშორებს თავიდან იმ შეზხუთულ ატმოსფერას, რომელიც უხშობს სინათლეს და აზროვნებას, რომელიც უბნელებს მას გზას და ვერ ახილებს თვალებს, ვერ [illegible] მტარვალის დასამხობად? რა ნება აქვთ, ვინც ხალხს უქადაგებს, ჩვენი უფლების, ჩვენი საკუთრების წინააღმდეგ?! ვინც ჩვენ გლეხს აშინებს „ავტონომია ბატონყმობა არისო", ვინც ეროვნულ გრძნობას უქრობს და ეუბნება „დამღუპველია ეროვნული თვითმართველობაო", რა უნდათ, რა სწადიანთ ამ ვაჟბატონებს? რა ქართველი ერი ამოიჩემეს? რა ქართველი ერისთვის უნდა იყოს ეროვნული თვითმართველობა საზიანო და საზარალო? რა ქართველი ერი უნდა შეადგენდეს გამონაკლის? თუ ასე ძალიან სწუხან ქართველ ერისთვის, რომ ავტონომიური მართველობა დაღუპავს საქართველოს, ნუ შესწუხდებიან ამაზე, ამის მაგალითი ჯერ კაცობრიობაში არ მომხდარა და რაღა საქართველოში უნდა მოხდეს? ჩამოდექით, ხელს ნუ უშლით ქართველ ხალხის აღდგენას, არავის ნება არა აქვს ერის დასამარებისა?

ვ. გარრიკი.

დამფუძნებელ კრების არჩევის დებულების პროექტი

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონთა შემმუშავებელ საგანგებო საბჭოს მომავალ მოქმედებისათვის იურიდიულმა საბჭომ შემდეგი პროექტი შეიმუშავა:

საერთო დებულებანი.

დამფუძნებელ კრების წევრებს ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, ამორჩევის პროპორციალ სისტემის მიხედვით.

საარჩევნო უფლება აქვს რუსეთის ყველა 20 წლის მოქალაქეს.

საარჩევნო უბნები და ოლქები.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო ოლქებად გუბერნიებია.

თითო ცალკე საარჩევნო ოლქი თავის რიგზე დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვს მოსახლეობის მიხედვით ირჩევს.

არჩევნების გასაადვილებლად საარჩევნო ოლქები უბნებად იყოფა. საარჩევნო უბნებად კი ქალაქები და სოფლის საზოგადოებები ითვლება. ამასთანავე ქალაქი და სოფლის საზოგადოება ისე ნაწილდება არჩევნების დროს, როგორც დანაწილებული იყო ქალაქის საბჭოსა და სოფლის საზოგადოების საერობო საბჭოს არჩევნების დროს.

საარჩევნო სიები და შიგ ჩაწერილი პირები.

დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევად უნდა საგანგებო საარჩევნო სია შედგეს. თითო საარჩევნო უბნისათვის კი ცალკე საარჩევნო სია უნდა იყოს. ამ სიაში ჩასწერენ ყველა ამ უბანში მცხოვრებ მოქალაქეებს. სიებში ჩასწერენ იმათ, ვინც უბანში სცხოვრობდა იმ დღემდინ, როცა უბანმა მთავრობის ჩვენება და განკარგულება მიიღო.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სიაში ჩაწერილ ყველა მოქალაქეს. ამასთანავე ისინი შეიძლება აირჩიონ, როგორც თავის უბანში ისევე მთელს სახელმწიფოში. ამომრჩეველთა სიაში არ ჩასწერენ და არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ 1) ოლქის, გუბერნიის მაზ. და სხვა საადმინისტრაციო ძალის უმაღლესი წარმომადგენელნი და მათი თანაშემწენი. 2) მილიციის მოსამსახურენი ამა თუ იმ უბანში. 3) ბერები. 4) სულით ავადმყოფნი, ყრუ-მუნჯნი. 5) სასამართლოს ძალით დასჯილნი და უფლება აყრილნი—დანაშაულის მოხდის სამის წლის შემდეგ, ხოლო ქურდობისათვის, შანტაჟისა და სხ., დასჯილნი დანაშაულის მოხდის ერთი წლის შემდეგ 6) ყველა ვალში ჩაფლული და სხვაზე დამოკიდებული პიროვნება. 7) ყველა სასჯელის სახით თავისუფლებას მოკლებული მოქალაქე. არჩევნებში არ მონაწილეობენ აგრეთვე ამომრჩეველ კომისიების თავმჯდომარე, მდივანი და წევრები.

საარჩევნო კომისიები.

ამომრჩეველ სიების შესადგენათ, დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს მიცემულ ხმათა დათვლა - გასანაწილებლად უნდა დაარსდეს ქალაქის გუბერნიის და სოფლის საზოგადოების კომისიები.

ქალაქისა და სოფლის საზოგადოების თავთა გარდა, რომელთაც საბჭო ირჩევს და გარდა რომელიმე ჯგუფის მიერ დამფუძნებელ კრების კანდიდატათ დასახელებულ პირისა, საარჩევნო კომისიაში შედის საარჩევნო სიაზე პირველი ხელის მომწერი კანდიდატი, თუ ამ ჯგუფების წევრნი ამისათვის საგანგებო კაცს არ აირჩევენ.

შემდეგ პროექტის სხვა მუხლებში აღნუსხულია კომპლექტი კომისიის შემადგენლობისა.

საარჩევნო სიების შედგენა.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიები, მაზრისა და ერობათა ხმოსნების საარჩევნო სიების მიხედვით უნდა შესდგეს. ამ სიის შედგენის შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში საარჩევნო კომისიებს ევალებათ შეადგინონ ორი დამატებითი სია:

1). იმ პირთათვის, რომლებმაც საარჩევნო უფლება მოიპოვეს მაზრის ხმოსანთა საარჩევნო სიების შედგენის შემდეგ და 2) იმ პირთათვის, რომლებმაც სწორედ ამ დროს დაჰკარგეს ეს უფლება.

ამ სიების შესამოწმებლად წარდგენის შემდეგ ათი დღის განმავლობაში ადგილობრივ ადმინისტრატიულ ძალის წარმომადგენელს უფლება აქვს პროტესტი განაცხადოს, ხოლო დაინტერესებულ პირთ ეჩივლონ, რომ სიები სწორედ არ არის შედგენილი.

პროტესტებსა და საჩივარს მიიღებს მაზრის საერობო საბჭო, რომელიც მოვალეა თხუთმეტი დღის განმავლობაში გაარჩიოს საქმე და თავისი გარდაწყვეტილება მომჩივრებს გამოუცხადოს.

კანდიდატთა სიები.

არჩევნებამდე თხუთმეტი დღის წინ ამომრჩევლებმა საარჩევნო კომისიებს უნდა წარუდგინონ თავის კანდიდატთა სია, ამასთანავე საჭიროა ნოტარიუსით დამტკიცებული მოწმობა, რომ კანდიდატი თანახმაა საარჩევნო ყუთი დაიდგას. კანდიტატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს დამფუძნებელ კრების წევრებს, რომელიც ამა თუ იმ ოლქში უნდა აირჩიონ. იმ სიებში, რომლებშიაც კანდიტატთა რიცხვი ამ ოლქში ასარჩევ წევრთა რიცხვს აღემატება, უკანასკნელათ ჩაწერილ კანდიტატებს ამოშლიან. სიებს ხელს აწერს არა ნაკლებ ასი ამომრჩევლისა. ყოველ ამომრჩეველს უფლება აქვს, მხოლოდ ერთს სიას მოაწეროს ხელი. ხოლო, თუ აღმოჩნდა, რომ ერთსა და იმავე ამომრჩეველს ორგან ან მეტგან უწერია ხელი, იმის ხელ მონაწერს მხოლოდ პირველ ხელმოწერილ სიაზე აქვს ძალა.

ხმის მიცემა

არჩევნის უფლებით აღჭურვილმა მოქალაქემ თვითონ უნდა მისცეს ხმა და არავითარ შემთხვევაში უფლება არა აქვს თავისი ხმა სხვას გადასცეს. იმ პირებს, რომელნიც საარჩევნო სიაში ჩაწერილნი არ არიან და თავისი საარჩევნო უფლება დაუკარგავთ, ნება არა აქვთ ხმის მიცემისა. ერთს ამომრჩეველ ოლქის სხვა და სხვა უბანში არჩევნები ერთ დღეს უნდა მოჰხდეს. ხოლო საარჩევნო დღეს დროებითი მთავრობა დაჰნიშნავს. შესაძლებისადაგვარად საარჩევნო დღე მთელს რუსეთში ერთი იქნება.

საარჩევნოდ დანიშნულ დღეს საარჩევნო კომისიები, ხმის მისაცემად, 8 საათიდგან 8 საათამდე ღია უნდა იყოს და დანიშნულ დღემდე ორი კვირის წინ მოვალენი არიან ამცნონ სოფლებს, ოლქებს, ერობებს და სხ., როდისათვის არის დანიშნული საარჩევნო დღე. არჩევნების დროს წესრიგს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იცავს, რომელიც მოვალეა თვალყური ადევნოს, რომ არჩევნების დროს არავითარი აგიტაცია არ მოჰხდეს და სხვა. არჩევნები ფარული კენჭის ყრით ჰხდება. ამომრჩეველს დახურულ კონვერტში საარჩევნო სიას მისცემენ და ისიც ამის მიხედვით ხმას მისცემს.

ხმათა დათვლა.

კენჭის ყრის მეორე დღეს, დილის 10 საათზე საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა თანადასწრებით მიცემულ ხმების დათვლას შეუდგება. კენჭის დამთვლელნი ისე უნდა იყვნენ განაწილებულნი, რომ იქ მყოფნი თავისუფლად ადევნებდნენ თვალს მათ მუშაობას.

არჩევნების შედეგის გამორკვევა.

მაზრის საბჭო მოვალეა მიღებული საარჩევნო ცნობები საჭირო ქაღალდებით გუბერნიის საბჭოში გაჰგზავნოს. ხოლო გუბერნიის საბჭო გაანაწილებს, ხელ-ახლად დასთვლის და გამოარკვევს ვის რამდენი ხმა აქვს მიღებული და სხვა.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგება დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვის შედგენას. ამისათვის ოლქში ამოსარჩევ დამფ. კრების წევრთა რიცხვს ამრავლებენ ამა თუ იმ სიაზე მიღებულ კენჭის რაოდენობაზე, ჰყოფენ მთელს ოლქში მიღებულ კენჭთა რაოდენობაზე და ამგვარად რამდენიც გამოვა ჯამი იმდენ კაცს აირჩევენ დამფუძ. კრების წევრებად ამ ოლქში.

საჩივრები და პროტესტები არჩევნების გამო

ამგვარად გადარჩეულ და დალაგებულ ქაღალდებს გუბერნიის კომისარს გაუგზავნიან, რომელიც ორი კვირის განმავლობაში, დღიდგან მიღებულ ქაღალდებისა, მოვალეა თავისი პროტესტი გამოაცხადოს. საჩივრის შეტანის უფლება, მხოლოდ არჩევნებში მონაწილე და აურჩეველ კანდიდატებსა აქვთ. საჩივარს ოლქის სასამართლოში მიიტანენ ორი კვირის განმავლობაში დღიდგან არჩევნებისა. სასამართლო კი ორი კვირის განმავლობაში გაარჩევს საჩივარს. ამ დროს სასამართლოში შეიძლება რამდენიმე განყოფილება დაარსდეს და მოწვეულ იქმნენ აგრეთვე სხვა ოლქის სასამართლოს წევრნი. სასამართლოს დადგენილება აუცილებლად უნდა შესრულდეს, მისი ხელ ახლად განსაჩივრება ყოვლად შეუძლებელია, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ერთი თვის განმავლობაში საქმე სენატში უნდა გადაიტანონ.

—

დაწვრილებითი წესი არჩევნების მოსახდენათ აღნუსხულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ წეს-რიგში, რომელიც სენატმა საყოველთაო საცნობლად დაჰგზავნა რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში.

კორესპონდენცია

მოგზაურის შენიშვნები

ქართლი. მაისია. თბილისიდან ზემო ქართლისაკენ მივდივარ, მივდივარ—მიმიხარია, მინდა ვნახო თავისუფალი ქართლელი, წელში გამართული. მახსოვს, მოწამე ვიყავ, თუ როგორ უმოწყალოთ და გაუკითხავათ სცემდა ქართლელს ვიღაც ხეპრე ბოქაული რუდენკო, ეს სულ ამ სამიოდე თვის წინ იყო. სცემდნენ, აგინებდნენ და ქართლელებიც ხმას ვერ იღებდნენ, საჩივრისაც კი ეშინოდათ. მინდა შევადარო მაშინდელი ქართლელი და ახლანდელი ხაშურში მიმავალი სააგარაკო მატარებელი მთლად გაჭედილია, ხალხი ყველა სადგურზე ემატება. სხვა და სხვა კლასის ვაგონს ქართლელი წინადაც ვერ არჩევდა, ახლა ხომ „თავისუფლებაა" და აბა რას დაგიდევს, თუ რომელ ვაგონში მოთავსდება თავის ბარგი-ბარხანით. ეს არის, წინად მეორე და პირველი კლასიდან კინწის კვრით იშორებდნენ, ახლა კი ვეღარავინ სცემს. სადგურ სკრაში მეორე კლასის ღია ვაგონში ურმის თვალი, ისიც ლაფში ამოგანგლილი, შემოიტანეს. არც მეხირია ერთგვარი წესრიგის დარღვევა და წარმოიდგინეთ მოარისტოკრატო ქალების ტუჩპის აბზეკა... ერთი მეორეს ჩუმათ „უპარუსკებენ" ამ ხალხს ისევ მათრახი უნდა, სხვა არაფერი მოარჯულებსო...

ვაგონში კამათი იმართება. ქართლელი ერთი მუშა ცხარეთ კამათობს, ავარიანად მკაფიოთ არკვევს დღევანდელ მომენტს, ეტყობა მეუმცირესეთა ბანაკს ეკუთვნის. ლაპარაკში შეიყოლიეს და რაც, საკვირველია, საქართველოს ავტონომიის მომხრეა, მაგრამ ამ კითხვას კრძალვით ეხება, ალბათ პარტიულ დისციპლინას შეჩვეულია. გლეხები ხარბათ ისმენენ მუშის სიტყვებს, მაგრამ კამათში არა მონაწილეობენ. სულ სხვაა იმერეთ-გურიისაკენ მოგზაურობა—იქ კამათში ყველა მონაწილეობს, ყველა თავისას ამბობს. აქ კი მხოლოდ ერთად ერთი გლეხი გამოდგა, რომელმაც განაცხადა—შეგვჭამა ჩვენ ვე არჩეულმა მწერალმა და მამასახლისმაო. ახლაც მწერალს კიდევ უთოხლავს ქრთამები და გაპარულა.

ავდივართ სად. ქარელში. ჩემს ყურადღებას იქცევს სადგურის ტალანში ჩამწკრივებული საფოსტო ყუთები წარწერით: (რუსულად) ზემო ხვედურეთი, წვერი-კალატოზაშვილი, ბებნისი—არავიაშვილი, ბრეთი—ედილაშვილი და ავალიშვილი და საქაშეთი—დიასამიძე. ეს ხუთი ყუთი წინსვლის მომასწავებელია. გავიგე, რომ ხსენებულ სოფლებით ფოსტა ყოველ დღე მიაქვთ. მართალია, ჯერჯერობით სოფლად 2—3 ნომერი სხვა და სხვა გაზეთი მიდის მხოლოდ, მაგრამ იმედია აწი იმატებს.

გურიის ერთ პატარა სოფელში თუ 30—50 ცალი გაზეთი მიდის, დავიჯერო ქართლის ერთი დიდი სამამასახლისო 2—3 გაზეთით დაკმაყოფილდება!

სად. ქარელის წინ რკინის გზის ლიანდაგზე მუშები მუშაობენ, ერთი უფროსი მუშა ქართველ მუშას „რუსულად" აგინებს, ცემასაც უპირებს, სხვა მუშები კი ამ საზიზღარ ამბავს გულგრილად უცქერიან და კიდეც იცინიან. რაც ეს თავისუფლება გამოცხადდა. მერე გინება რუს სალდათისაგან აღარ გამიგონია, ჩვენები კი მაინც ვერ იშლიან... მეწყინა.

მივდივარ სოფ. სალოლაშენში. განსვენებულ ალექსანდრე ყიფშიძის ბაღი და საფუტკრე უნდა ვნახო. ბაღი ახლად მოშენებულია. ნეტარხსენებულს კაი საქმე გაუკეთებია და დიდი შრომაც მიუღია. ერთ დროს კაი შემოსავლიანი ბაღი იქნება. ფუტკრები უამინდობას მოუცდენია. 15 დღეა რაც გადაუღებლივ წვიმს, მითხრეს.

ჩემთან არის განსვენებულის ძმისწული ჭაბუკი გაზიკო, სათ.-აზ. გიმნაზიის მე-5 კლასის 16 წლის ახალგაზდა. მართალი მოგახსენოთ ახლანდელი მოსწავლე ახალგაზდობა გულს მიტეხს, რადგან ოჯახურ შრომას გაურბის. გაზიკო მახალისებს, დინჯი ყმაწვილია, შრომის მოყვარე, მას ბაღიც უყვარს, ფუტკარიც და არც წიგნების კითხვას გაურბის, პირიქით ბეჯითად მეცადინეობს და, რაც საკვირველია, ჯერ არცერთ პარტიას არ ეკუთვნის, სამაგისო მომზადება ჯერ არ მაქვსო. ეს ასეც უნდა იყოს და არა ისე, როგორც გურიაშია, სოფლის სკოლის მეორე განყოფილების 8 წლის „ბიდანა" „პარტიის" კაცია და სხვა პარტიისას „კბილით სჭამს". სკოლა პარტიათა გარეშე უნდა იდგეს, ჯერ აკადემიური ცოდნა, თვითგანვითარება, დაწიფება და მერე პარტია. ყიფშიძიანთ ბაღს უვლის იმერელი არჩილა (ჩიხლაძე), ჰყავს ადგილობრივი გლეხებიც. არჩილა და სალოლაშენელი პავლია კამათობენ, არჩილა მწარედ დასცინის „ტეტიას". მაგონდება განსვენებული მიხ. ასათიანის „მტკვრისა და რიონის ბაასი", მართალია ორივე გლეხია, ორივე უსწავლელი, მაგრამ მათში დიდი ზღვარია. არჩილა თვით სცდილობს ცხოვრების ქარტეხილში ჩაებას, თითონაც რაიმე გააკეთოს, პავლია კი სხვისი განკარგულების შემყურეა. ბეჩაობა და შეუგნებლობაა! ამის წყალობით არის, რომ „სტრაჟნიკების" ნაცვლად ოსი მილიციონერები ისევე მედიდურად პარპაშობენ. მივიკითხ-მოვიკითხე, საბედნიეროდ ქართლში ცხრაას ხუთი წლის ზოგიერთ არა-სასიამოვნო მოვლენებს ადგილი არ ჰქონია—სხვის ქონებას არავინ იტაცებს, ტყეებს არ ჩეხენ, მემამულე თავადებს არ სდევნიან. სიძვირე დიდია, კოდი სიმინდი 20 მანეთად ფასობს. წიწილა მანეთნახევრად. მოსავალს საშუალოზე ნაკლებს მოელიან. ვნახე ქალების მამითადი, სიმინდს მარგლიდნენ. დეზერტირი ჯარისკაცები ყველანი გამოცხადდა.

ა. წ—ძე.

—

ბოდბის მონასტრის გარშემო

სიღნაღი. წმინდა სავანე, სულიწმინდის ქნარი ნინა დღეს მოწმად ხდება ამ უსაშინელესი და გულის შემზარავი სურათისა, რომელი სურათიც აღიმართა ნიკოლოზ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ. ბოდბის მონასტრის იგუმენია ანასტასია, როგორც თითონ გამოაცხადა, ფრიად ხელსაყრელ პირობებით აღჭურვეს პ. ზენეშევიჩმა, ნამყოფ ექსარხოსმა პლატონმა და კომისარიატმა ხარლამოვმა, და აი, მართლაც, დღეს მათი დაპირება სისრულეში მოყვანილია; მონასტერს სალდათები ჩაუყენეს და სდარაჯობენ იგუმენიას, რომელიც ფრიად შეწუხებული მოუწოდებს სალდათებს, братцы, спасайте насъ! ქართველები გვდევნიანო. სალდათებმა გამოიძიეს, და საბედნიეროდ იგუმენიას პროვოკატორობა, პროვოკატორობათვე დარჩა, რის გამო თითქმის გამომძიებელნი ამა საქმისა იგუმენიას გაუწყრნენ. მკითხველნო, თქვენ გგონიათ ამით გათავდა საქმე? არა! იგუმენიის მოხალისე რაზმმა, რომელი რაზმიც დღე და დღე იზრდება, მოუწოდა სიღნაღის რუს ინტელლიგენციას, რომელთაც თავები მაღლა წამოყვეს და გულის ფანცქალით თითო ფეხის გადადგმას სდარაჯობენ, მხოლოდ რასა სდარაჯობენ, თითონაც არ იციან. მაგრამ, სამწუხაროა მით, რომ დღეს ამ მხარეს, მომეტებული თუ არა, მაინც ძველი რეჟიმის მომხრენი ისევ ყოფილან. სიღნაღის კომიტეტი აღჭურვილია თითქმის, თუ არა ვცდები, ოცდა-ათი ათასი ადამიანის ნდობით, ამ კომიტეტმა აშკარად დაინახა იგუმენია ანასტასიას მოღვაწეობა, რაიც საფრთხეს უქადის მთელ სიღნაღის მაზრას, რის გამო კომიტეტმა სთხოვა თბილისის კომისარს (კომ. ხარლამოვს), მოგვაშორეთ იგუმენია როგორც ძველი რეჟიმის ადამიანიო, მაგრამ კომიტეტმა პასუხად მიიღო „ეკლესიის საქმეში ნუ ერევითო" და თითქმის პასუხისგებაში მისცეს. კარგი ეკლესიის საქმეა პროვოკატორობა, რომელიც რევოლიუციის დამღუპავია!

სხვათა შორის მსურს მკითხველს გადავცე პ. ზენეშევიჩის აზრი, წარმოთქმული ზემოხსენებულ საქმისა გამო, საიდაც გავიხედავ, სულ ის მესმის: ის რუსი პროვოკატორია, ის რუსი ძველი რეჟიმის მომხრეა და სხვ... და დავიჯერო ქართველებში არავინ არის პროვოკატორი თუ ძველი რეჟიმის მომხრე, რატომ იმათზედ არ ლაპარაკობთო!

და, ამ სიტყვების შემდეგ, განა ზენეშევიჩთან ღირს რამე საგანზე ლაპარაკი?

ბ. პ. ზენეშევიჩმა უნდა დაინახოს და გაიგოს, რომ ქართველი საზოგადოებაც გაფაციცებით ეძებს ოხრანკაში მყოფ ქართველებსაც და ატუსაღებს. უნდა გაიგოს, რომ აქ თუ სხვაგან, როგორც თითონ იჩენს შოვინისტობას, არავინ შოვინისტობს, პირიქით მონასტრელებს სურთ რუსივე მონაზონები დაკნინებულნი, შევიწროვებულნი და შერისხულ-შეგინებულნი გაანთავისუფლონ მტარვალი იგუმენია ანასტასიასაგან.

პ. ზენეშევიჩს ვთხოვ მხედველობაში მიიღოს თავის მეგობრის იგუმენია ანასტასიის მოწოდება მონაზონებისადმი: ეტყობა, რუსეთი მალე დაღუპავს გზას დაადგება და დაიმსხვრევა, ამ შემთხვევით ისარგებლებს ნიკოლოზი და, ჩვენ შევიწროებულნი, თავისუფლად ამოვისუნთქებთო.

იცის ზენეშევიჩმა, რომ დღესაც ზოგ მონაზონთაგანს ნიკოლოზის და მისი დედოფლის სახელები ხელ შეუხებლივ უწერიათ თავიანთ სადღეგრძელო წიგნაკებში და ეკლესიაში მათ მოხსენებას განაგრძობენ.

იცის ზენეშევიჩმა, რომ ბნელმა ძალებმა იგუმენიის მარჯვენა ხელს დარიას და ვიღაც მონაზონის პენზას ხელმძღვანელობით ზოგიერთა მონაზონებს სენაკის სარკმელებზედ ფიცრები აუკრეს და გარეთ არ ახედებენ? ეს მონაზონი პენზა, რევოლვერით ხელში მონასტერს გარშემო უვლის და ვაი მისი ბრალი, ვინც იგუმენიის საწინააღმდეგოს მოიმოქმედებს. აღდგომის დღეს ამ პენზამ ადგილობრივ სამღვდელოებას წითელ კვერცხთან ერთად ორი პატრონა და რევოლვერი დაუწყო მაგიდაზედ. ისიც იცის ბ-ნმა ზენეშევიჩმა, რომ ძველი რეჟიმის ადამიანი, პროვოკატორობის გამამტკიცებელი, ყველასაგან განდევნილი იგუმენია ანასტასია თავის ვერაგობას აფართოვებს და უსირცხვილოდ ტუჩებს იწმენდავს, [illegible] თავისუფლებას და [illegible] მოითხოვს მონაზონებისგან განჩენს—ავი ვარ თუ კარგი ვარ, თქვენი ბატონი ვარ და ნებას არ მოგცემთ მე აქედან დამითხოვოთ, თორემ სისხლს ამოგწოვთო?

თუ არ იცის, ვთხოვ გაჩუმდეს და თუ იცის ვთხოვ პასუხს. დღეს ქალაქ თბილისიდან მოვიდა კომისია ბოდბის მონასტერში საქმის გამოსაძიებლად, რომელიც მოწმედ გახდა დამონებულ მონოზნების ცრემლთა დენისა.

ვნახოთ რით გათავდება საქმე!..

ზ. ქ.

—

სკოლების საქმე სოფლად.

დ. ძირულა (ზემო იმერეთი). ამოდენა დაბაში, როგორიც არის ძირულა, არავითარი სასწავლებელი არ მოიპოვება და არც სურთ, რომ დაიარსონ. დიდად მაკვირვებს რატომ არ მიჰბაძავენ მახლობელ სხვა დაბებს, სადაც მრავალი სასწავლებელი არსებობს. თუ ვინმემ მოინდომა აღძრას საკითხი სასწავლებლის დაარსებაზე, მას შურის თვალით მისჩერებიან. როგორც მკითხველებს, ეხსომებათ აქაურ ქველმოქმედს ბ. მეთოდე ქათამაძეს ჰსურდა დაეარსებინა უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, მაგრამ საუბედუროდ კერძო ინტერებისა გამო, რამოდენიმე პირის წყალობით ვერ იქმნა ასრულებული ჯერჯერობით. ხალხში ხმას ავრცელებენ ვითომც ბ. ქათამაძეს თავის სასარგებლოდ უნდოდა დაეარსებინა სასწავლებელი და მას დიდი ხარჯები მოჰყვებაო და სხვა... და რა გასაკვირი იქნება, თუ სხვა კულტურული დაწესებულება აქ ფეხს ვერ მოიდგამს. თუმცა აქ ყვირილის წ.-კ. გ. საზ. განყოფილებას დაუარსებია 1915 წელს სამკითხველო, მაგრამ მკვიდრთ ვერც მისი დიადი მნიშვნელობა უცვნიათ და ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას სამარეში ფეხი უდგას. სამკითხველოს გამგეობას, რომელიც ბრუნდის თვალით უყურებს მას, დღემდე ვერ დაუნიშნავს სამკითხველოსთვის მყურადღებელი და ამიტომ არა ერთი წიგნი და გაზეთი დაიკარგა. იმედია ეხლა მაინც მიაქცევს გამგეობა სამკითხველოს ყურადღებას და მას დაუყენებს მყურადღებელს და სიღარიბისაგან იხსნის ისედაც სიღარიბეში მყოფ სამკითხველოს. როგორც გაზეთებში სწერდენ ადრე სამკითხველოს ძველ ხაზინადარს ფული შეეჭამა და მას თურმე დღემდე ანგარიშიც არ გაუსწორებია გამგეობასთან.

ვ. ძირულელი.

—

სამღვდელოების კრება.

სიღნაღი. ამა წლის მაისის 26-ს იყო მოწვეული ს. ბაკურციხეში მესამე ოლქის სამღვდელოება მედავითნეებით. კრებამ საოლქო საბჭოს წევრებად ამოირჩია მღვდლები: იოანე ხატიაშვილი, ალექსი ახალშენოვი და მაჭარაშვილი. მედავითნეთაგან—ფურცელაძე და მუღაშვილი. შემდეგ იქმნა მსჯელობა მედავითნეთაგან წამოყენებულ კითხვაზედ,—მიეცეს თუ არა საეკლესიო შემოსავლიდან თვითეულ მათგანს ორი მეხუთედი? კრებამ ვერ ჰპოვა ვერც ისტორიული, ვერც კანონიური და ვერც იურიდიული საფუძველი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მით უმეტეს, რომ მღვდლები (განსაკუთრებით სოფლისა) განიცდიან იმავე გაჭირვებულს ცხოვრებას, როგორსაც მედავითნენი.

სამღვდელოებამ ერთხმად უარი განაცხადა მედავითნეთა დაკმაყოფილებაზედ ხსენებულის გზით და დაადგინა იშუამდგომლოს მათ მეუფების სრულიად საქართველოს კათალიკოზის მოსაყდრის ლეონიდეს წინაშე, რათა საჩქაროდ იქმნეს მოწვეული ივერიის ეკლესიის კრება, რომელზედაც უეჭველად უნდა გადასწყდეს—თუ საიდან და როგორ ისაზრდოვოს ეკლესიის კრებულმა—მღვდელმა და მედავითნემ, ხომ საუკუნოდ მათხოვრობის გზაზედ არ უნდა იარონ და მრევლთან მუდმივი ომი ჰქონდეთ გამართული? ორში ერთი: ან უნდა ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს თავის კუთვნილი მამული და ნაღდი თანხები (წაღებულია ორი დიდი ბილეთი), რომლებიც დღეის შეფასებით შეადგენენ არა ნაკლებ 500 მილიონს. ანდა რუსეთის სახელმწიფო იქნება, თუ სასულიერო ხაზინამ, ნაჩვენებ თანხით კანონიერი სარგებელი უნდა აძლიოს ივერიის ეკლესიას. სამათხოვარო და საგლახაო არც წინედ გვჭირვებია და მით უმეტეს არც დღეს გვჭირს. თუ აქამდის ჩვენთვის სამართალი არ იყო, საქმე სხვაფრივ არის.

ი. ხ.

რედაქტორი [illegible] [illegible].

სტამბა „ცხოვრება" ასლან კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო".